წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**g-119. 11924316001**

თარიღი:**11/11/2024**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის

მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #g-119.11924121001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა,***

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის #g-119.11924121001 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი